ეროვნული ბიბლიოთეკა


# ქართული აზრი

„ყოველგვარი სიძულვილის გარეშე, ყველასადმი სიყვარულით, სიმართლის ღრმა რწმენით, რამდენათაც ამის დანახვის შესაძლებლობას ღმერთი გვაძლევს, ვეცდებით მივიყვანოთ ჩვენი საქმე ბოლომდე“.

**აბრამ ლინკოლნი. 1865 წ.**

№ 30 — ნიუ-იორკი. იანვარი, 1959 წ. — GEORGIAN OPINION — NEW YORK, JANUARY 1959


**„ქართული აზრის“ რედაქცია მხურვალედ გილოცავთ ქრისტეს შობისა და ახალი წლის დღესასწაულებს დაგულწრფელად გისურვებთ მომავალი წელი ყოფილიყოს ყველა ქართველებისათვის— საქართველოში და უცხოეთში—სიხარულისა და ბედნიერების წელი!**

**ნიუ- იორკი, იანვარი, 1959 წ.**

როგორც მოსალოდნელი იყო საბჭოთა კავშირის დელეგატი გაერთიანებულ ერებში ვერ მოალბო იმ ხვეწნა მუდარამ, რომელსაც მისი დასავლეთელი კოლეგები აწარმოებდნენ, რათა საბჭოთა დელეგაციას არ ჩაეშალა უშიშროების საბჭოს მუშაობა, გულწრფელი თანამშრომლობა გაეწია და საბჭოს საქმიანობა გაეადვილებინა. მიუხედავათ ამისა სობელოვმა 85-ჯერ გამოიყენა ვეტოს უფლება და იაპონური დელეგაციის რეზოლუციას ხმა არ მისცა.

თუ საკითხს ობიექტიურად შევხედავთ, ყველაზე მისაღები და „კრიზისის“ საუკეთესო გამოსავალი იაპონური წინადადება იყო, რომელიც მოითხოვდა შუა აღმოსავლეთიდან ანგლო-ამერიკული ჯარების გამოყვანას, ხოლო იორდანიის და ლიბანის ეროვნულ დამოუკიდებლობის უზრუნველ საყოფად გაეძლიერებინათ გაერთიანებული ერების შეიარაღებულ ძალები. მიუხდავათ იმისა, რომ თავისუფალი ქვეყნებისყველა დელეგატებმა თანხმობა განაცხადეს, სობელოვმა მტკიცედ დაიძახა „ნიეტ“ და ამით ნათელ ჰყო, რომ გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭო ის უსიცოცხლო ორგანოა, სადაც ყველას შეუძლიან თავისი აზრი გამოთქვას, მაგრამ, ვიდრე საბჭოთა დელეგაცია იქა ზის,— უნარ ნაკლულია მნიშვნელოვანი გარდაწყვეტილება მიიღოს და ის ცხოვრებაშიც გაატაროს.

რუსეთი რომ მართლა დაინტერესებული ყოფილიყო ომის საშიშროებისაგან ატმოსფეროს გაწმენდით და შუა აღმოსავლეთში მშვიდობიანობის ფსიქოზის გაბატონებით, მისთვის აფსოლუტურად მისაღები უნდა ყოფილიყო იაპონური რეზოლუცია, რომლის განაღდება სწორეთ ამ სასურველობას ისახავდა მიზნად. მაგრამ რუსეთისათვის მთავარი იყო არა ომის საშიშროების თავიდან აშორება, არამედ დასავლეთის, და კერძოთ ანგლო-ამერიკელების შეჩვენება, მათი შუა აღმოსავლეთიდან განდევნა და იქ თავისუფლად ფარფაშის საშუალების მოპოება და ისეთივე მდგომარეობის შექმნა, რაც მოჰყვა ანგლო-ფრანგული ჯარების ეგვიპტედან განდევნას. გაუმაძღარი რუსული იმპერიალიზმის მოციქული სობელოვი, გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს უმტკიცებდა, რომ ბეირუთის და ამანის მიპატიჟება (ანგლო-ამერიკული ჯარების გადასხმის მიზეზი, რათა დაიცვან ამ ქვეყნების თავისუფალი, ეროვხულ სახელმწიფოვბრივი არსებობა) მხოლოდ ნიღაბია, რომლის ქვეშ იმალება ძველი კოლონიალური ბუნება დასავლეთის იმპერიალიზმისაო და გაანჩხლებით იმეორებდა ნიკიტას ავადმყოფურ თავში განაფიქრ ბრალდებებს.

კენჭის ყრამ საბოლოოდ გამოარკვია, რომ რუსულ დემაგოგიას არავითარი ღირებულება აღარა აქვს და უშიშროების საბჭომ იაპონური რეზოლუცია მიიღო, რომელიც არსებითად ნაკლულოვანი და მჭლეა, მაგრამ არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ მასზედ პოზიტიური საქმიანობა დაშენდეს.

საეჭვოა, რომ კრემლის ბატონებს ადრევე არა ჰქონდათ გათვალისწინებული გაერთიანებული ერების პოზიცია, სადაც მათ დემაგოგიურ საპროპაგანდო გამოსვლებს მხოლოდ მწუხრად მოსასმენ სიტყვათ სთვლიან. არც ის შეიძლება ვიფიქროთ, თითქოს წითელმა დიპლომატიამ არ იცის, რომ ნიკიტას და მისი მსახურების დაჩაგრულ ერთა ეროვნული უფლებების დამცველის როლში გამოსვლა, ვერავითარ გავლენას ველარ ახდენს მსოფლიო საზოგადოებრივ აზრზე. მათ უეჭველად იციან, რომ რუსეთი გაიყინა ომის შემდეგ მიტაცებულ ქვეყნების საზღვრბში და ის საკუთარ წვენში იხარშება. აფრიკისა და აზიის ეკონომიურ კულტურულად ჩამორჩენილი ერები იმდენათ არიან რუსულ იმპერიალიზმზე აკიდებული და მისი მხარის დამჭერნი, რამდენათაც ფიქრობენ, რომ რუსული იმპერიალიზმის დახმარებით და იმკვიდრებენ ეროვნულ დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას, მაგრამ რუსული დიპლომატია აზიელების ამ ორ მაგ თამაშზე მაინც მიდის, რადგან ეს მისი უკანასკნელი გამოსავალია.

ერთის მხრივ კრემლი ჯერ კიდევ იმედოვნებს, რომ თუ აფრიკა-აზიის ხალხები დასავლეთს სამუდამოთ მოსწყდნენ და განმარტოვებულნი დარჩნენ, მაშინ ადვილი იქნება მათი კბილების მოსინჯვა და ურჩების მორჩილებაში მოყვანა.

მეორეს მხრივ კრემლის დიპლომატია, მისთვის გაუთვალისწინებელ და უჩვეულო დაპრკოლებას წააწყდა: „უხერხემალო დემოკრატიამ“, რომელიც პირდაპირი მემკვიდრე და პირმშოა „ჟენევის სალაყბოსი“ (ასე უწოდებდაერთა ლიგას წითელი პროპაგანდა) ნების ყოფა გამოიჩინა და გამოირკვა, რომ მას ხერხემალიც ჰქონია, გადაწყვეტილების მიღებაც შესძლებია და მისი მტკიცე დაცვა და ცხოვრებაში გატარებაც.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გათამამებულ რუსულ იმპერიალიზმისათვის ეს ახალი აღმოჩენაა და არ შეიძლება ამ გარემოებას თავისებური გავლენა არ მოეხდინა.

აბა როგორ შეეძლოთ კრემლის ბატონებს ეფიქრათ, რომ მთელი აღმოსავლეთ ევროპის დაუსჯელათ მიტაცების შემდეგ, შორეულ აღმოსავლეთში, მივარდნილ კორეის გულისათვის დასავლეთის დემოკრატია აბჯარს აისხავდა და ბრძოლის ველზე გამოვიდოდა?

ან ვის შეეძლო ეფიქრა, რომ შუა აღმოსავლეთში, ისიც ისეთი პატარა და „უმნიშვნელო“ ქვეყნებისათვის, როგორც იორდანია და ლიბანია, „უხერხემალო დემოკრატია“ თავის საზღვაო და საჰაერო ძალებს პირველსავე საეჭვო მდგომარეობაზე იქ მიაყრიდა და რუსეთს „ზარბაზნების ენით საუბრის“ საშიშროების წინაშე დააყენებდა?!

აი გარემოება, როგორც უკვე აღვნიშნედ, რუსეთისათვის სრულიად ახალი, გაუთვალისწინებელი და მოულოდნელი.

სწორედ ამ „უხერხემლო დემოკრატიის“ სიმტკიცემ და გაბედულმა მოქმედებამ აიძულა რუსეთი ცხვრის ტყავში გახვეულიყო და მსოფლიო პარლამენტის, გაერთიანებული ერების წინაშე „ეროვნულად დაჩაგრულ“ ერთაჭირისუფლობა ეკისრა და მსოფლიო საზოგადოებრივი აზრისაგან „დასავლეთის იმპერიალისტების“ დასჯა და დათრგუნვა მოეთხოვა. ხოლო, რადგან აქაც დასავლეთის „უხერხემალო დემოკრატია“ თავის სიმაღლეზე აღმოჩნდა და რუსეთმა ბრძოლა დიპლომატიურ ფრონტზეც წააგო, რაღა დარჩენოდა კრემლის ემისრებს იმის გარდა, რომ სტალინის ეპოქური მრისხანებით „ნიეტ“ დაეძახა და გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებისათვის ვეტო დაედო.

ჩვენ მრავალჯერ ვთქვით და ვიმეორებთ, რომ თავისუფალმა დემოკრატიულმა კაცობრიობამ რუსული იმპერიალიზმის ბუნება შეიმცნო და ჩასაყლაპად არც ერთ ერს აღარ აძლევენ. ყოველ ერს, დიდია იგი თუ პატარა, თანაბრათ შველიან და ეხმარებიან, რომ ძლიერმა ვერ გადათელოს მისი ეროვნული უფლებები და ვერ მოსპოს მისი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობა.

ეს არის ქართული ნაციონალიზმის საარსებო წყარო. ეს არის საქართველოს აღდგენის საწინდარი და ქართველი ერიც მომავლის ამ საუკეთესო იმედით უნდა შეხვდეს დამდეგ წელს, რომ ქვეყნიერებაზე მტკიცედ იკიდებს ფეხს სამართალი და შორს არ არის ის დრო როცა ერთა ურთიერთობის და ეროვნულ სახელმწიფოებრივი თვითარსებობის საკითხებს გადასწყვეტს სამართალი და არა ზარბაზანი.

## კვლავ შუა აღმოსავლეთზე.

შუა აღმოსავლეთის მდგომარეობა კვლავ მსოფლიო ყურადღების ცენტრშია და თავისი სიმწვავით, ხან გამოშვებით, სერიოზული გართულებების წინაშე აყენებს კაცობრიობას.

თუ რუსეთი, თავის მხრივ, ხელს უწყობს ამ ნერვიულ მდგომარეობას, მეორეს მხრივ არც თავისუფალ დემოკრატიულ კაცობრიობას მიუღია რადიკალური ზომები, რომ ქვეყნიერების ამ კუთხეში წამოჭრილ საკითხებს თავისი სამართლიანი დაკმაყოფილება მიეცეს. ზავისა და მშვიდობიანობის დამცველმა დასავლეთმა თეორიულად აღიარა ერთა თვით არსებობის პრინციპი და ამ მხრივ ა. შ. შტატები თავის ბუნებრივ პოზიციაზე დარჩა, მაგრამ გზა და გზა წარმოშობილი გართულებები, დასავლეთის მოკავშირეებისადმი „ანგარიშის“ გაწევა და ატლანტური პაქტის ზოგიერთი ქვეყნის ჭირვეულობა, შ. შტატების დიპლომატიას ხელფეხს უბორკავს და იძულებულია, ხანდისხან თავის ბუნებრივ პრინციპიალურ პოზიციიდან უკან დაიხიოს. ეს გარემოება კი ჰქმნის რუსეთის სასარგებლო განწყობილებას თავისუფლებისთვის მებრძოლ ქვეყნებში და მიუხედავათ მათი პრინციპიალურ იდოლოგიური სხვაობისა, აფრიკა--აზიის ერებს რუსულ კომუნისტურ იმპერიალიზმთან აულლებს.

ეს პრობლემა კვლავ პირველ რიგში აყენებს ერების თავისუფალ სახელმწიფოებრივ არსებობის საკითხს და მშვიდობიანობის მოყვარულ კაცობრიობას აიძულებს ერთა თავისუფალ თვითარსებობის პლატონურ აღიარებიდან, მის პრაქტიკულ განაღდებაზე გადავიდეს

პრეზიდენტ აიზენჰაუერის დოქტრინა ერთი გაბედული ნაბიჯი იყო ამ მიმართულებით რომელმაც უკვე იხსნა ლიბან-იორდანიის სახელმწიფოები წალეკვისაგან და ნასერის დამპყრობელობით მადას ზღვარი დაუდო. თავისუფალ კაცობრიობას ხშირად ანგარიში ეშლება და რუსული პროპაგანდით გაბრუებული ფიქრობს, თითქოს აფრიკა აზიის დღევანდელი მისწრაფებების გამომსახველი ნასერია, რომელსაც აქეზებს, ამხნევებს და ამაგრებს რუსული იმპერიალიზმი. არაბული ქვეყნების შინა ურთიერთობის ანალიზი ამტკიცებს, რომ მათ შორის ინტერესთა დიდი სხვადასხვაობაა და ნასერი იქ გაბატონებული უწესობით წარმოშობილი ერთი ავანტურული მოვლენაა და არაბული ქვეყნები მზად არიან თავის ხალხის თავისუფლება ნასერის თავდასხმებისაგანაც დაიცვან. არაბულ ქვეყნებს, ამ ჟამად, მხოლოდ ორი რამ აერთიანებს: პირველია მათი ეროვნული დამოუკიდებლობა და მეორე ურიასტანის წინააღმდეგ ბრძოლა. თავისუფალი კაცობრიობის ინტერესი უნდა იყოს, არაბული ქვეყნების სამართლიანი მოთხოვნილებები იმ გვარად დააკმაყოფილოს, რომ ქვეყნიერების ამ კუთხეში „სტატუს კვო“ დაიცვას და არ მისცეს ნასერს სულიერი საზრდო, რომ მან მთელი არაბეთი რუსეთის დამხმარე, ანტი დასავლეთურ ძალათ გადააქციოს.

კრემლი მოხერხებულათ იყენებს ნასერის ეგოისტურ ნაციონალიზმს, რომელშიაც თვით ნასერის პატივმოყვარეობის პრინციპები უფრო ძლიერათა სჩანს, ვიდრე ეროვნულ ხალხოსნური. ნასერმა ერთხელ განაცხადა: როგორც კი ინგლისელები წავიდნენ ეგვიპტედან ხალხმა დაუყონებლივ გადააგდო მეფეო. ამ საკითხის გარჩევა ჩვენს მიზანს არ შეადგენს. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ეგვიპტურ რევოლუციაში ხალხი არსად სჩანს, ისევე, როგორც არაფერი აქვს საერთო თვით ნასერიზმს ეგვიპტურ ნაციონალიზმთან. ნასერი თავის ამბიციების ტყვეთ იქცა და როგორც მისი „რევოლუციის ფილოსოფია“ აღნიშნავს, მისი მიზანია არა ეგვპტის ხალხის კეთილმოწყობაზე ზრუნვა, არამედ მთელი არაბული სამყაროს გაერთიანება და ისეთი ფიზიკური ძალის შექმნა, რომლის წინაშეც დაიჩოქებს და ქედს მოიხრის არა მარტო დასავლეთის კულტურის ქვეყნები, არამედ საზოგადოთ თეთრი რასა! ამგვარ „რევანშით“ და შურისძიებით აღტყინებულ ნასერიზმს მხარს უჭერს და აქეზებს, რუსული იმპერიალიზმი, რომლის ერთად ერთი მამოძრავებელი — მსოფლიოში გაბატონების იდეაა.

შესძლებს რუსეთი „რევოლუციის ფილოსოფიაში“ გათვალისწინებულ არაბეთის მრისხანების მოთოკვას და და მის გამკლავებას! აი საკითხი, რომელიც მწუხრ პერსპექტივათ ეშლება მომავალს.

მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ნასერიზმი არ არის არაბული ნაციონალიზმი და არაბულ ქვეყნებში ჯერ ისევ ძლიერია ეროვნულ თვით არსებობასთან ერთად, დასავლეთთან ურთიერთობის იდეა.

ნასერმა არაბულ ქვეყნებში პოპულარობისათვის პირველ რიგში იზრაელის სახელმწიფოსთან ბრძოლა წამოაყენა. დიდი ხანი არ არის, რაც კაიროს და მოსკოვის რადიო-სადგურებმა განაცხადეს, რომ იორდანიის საზღვარზე ხდება ებრაელების ჯარის კონცენტრაცია და მოსკოვით წაქეზებული ნასერი მრისხანეთ ამბობდა: ჩვენ არ დაუშვებთ ებრაელებმა დაჩაგრონ იორდანიის ხალხიო, მაგრამ ჭკვიანმა და წინდახედულმა ბენ-გურიონმა დაუყონებლივ ამცნო კაცობრიობას ამ ცნობათა სიყალბე და მოსკოვ-კაიროს ვერავი ზრახვები.

თუ არ მოსკოვის დაუსრულებელი ინტრიგა და პროვოკაცია, როგორც ებრაელების სახელმწიფოს წინააღმდეგ, ისე შუა აღმოსავლეთში არეულობისა და შფოთის დიდი ინტერესი, რის გამოც კრემლის პროპაგანდა ცეცხლზე ნავთს ასხავს და არაბულ შეურიგებლობას აძლიერებს, აქამდე არაბული სამყარო შეურიგდებოდა იზრაელების სახელმწიფოსარსებობის ფაქტს და დასავლეთელების პედაგოგიური ახსნა განმარტებები მიახვედრებდნენ, რომ „მზის ქვეშ ებრაელებსაც აქვთ ცხოვრების“ უფლება და არაბეთის სხვა სამართლიან მოთხოვნილებების დაკმაყოფილება გააადვილებდა ებრაელების სახელმწიფოსთან კეთილ მეზობლრ ურთიერთობის დამყარებას. მაგრამ, როგორც ყოველი დემაგოგიური რეჟიმის, ისე კრემლის საარსებო წყარო მსოფლიო შფოთი და მღელვარებაა და მისი ზრუნვისა და ფიქრის გარდაუვალი საგანი არეულობაა, რომელსაც ადვილად ეგება ცხოვრებით გაბოროტებული არაბეთის მოსახლეობა.

ბეირუთის შემდეგ, სადაც ნასერმა ვერ მოახერხა თავისი ერთგული მთავრობის შექმნა და ჯერ-ჯერობით მაინც, იქაურ მუსულმან-ქრისტიანული მოსახლეობის მორიგებით შესაძლებელი გახდა ქვეყნის დამოუკიდებლობის შენახვა— დარჩა იორდანია, რომლის დამოუკიდებელი არსებობა ყველაზე მეტად აწუხებს არაბეთის გარდასულ დიდების აჩრდილების ტყვეს.

იორდანიის გადალახვით ნასერი აღიდგენდა სირიასთან საზღვარს და მისი გაერთიანებული არაბული სახელმწიფო ტერიტორიალურათაც გამთელდებოდა. ეს ნასერის ავტორიტეტს უფრო გაზრდის და მას ექსპანსიას გაუადვილებს. მაგრამ, როგორც აღვნიშნედ, ნასერი არაბეთი არ არი და ნასერიზმი არაბული ნაციონალიზმი. მშვდობიანობის მოყვარე დასავლეთის დემოკრატიას კიდევა რჩება შესაძლებლობა არაბულ ნაციონალიზმთან მჭიდრო თანამშრომლობით, მათი სამართლიანი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით და ეროვნულ ინტერესთა გაგებით, არაბული ნაციონალიზმის ნდობა აღიდგინოს და ნასერიზმი იქიდან განდევნოს.

ამისათვის საჭიროა დასავლეთის მოკავშირეებმა გადალახონ ეგოისტური ნაციონალიზმის ნაღობრები, რომელიც თანამედროვეობამ უკვე მოსპო და გაანადგურა და მათ გაბედულათ აღიარონ და დაიცვან ყოველი ერის ეროვნულ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. მხოლოდ ამ ასპექტშია წარმოსადგენი მსოფლიოში და მსოფლიოს არაბულ უბანშიც მშვიდობიანი ცხოვრების დამყარება, რუსული დემაგოგიით შექმნილი მღელვარების აღკვეთა და დასავლეთის ქვეყნებთან მათი კონსტრუქტიული თანამშრომლობა.

**დონი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნიკიტას მორიგი პროვოკაცია.

**პოლონური დელეგაციის საპატივცემლოდ გამართულ ბანკეტზე, ნიკიტა ხრუშჩოვმა კვლავ ისახელა თავი და განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირს გადაწყვეტილი აქვს გააუქმოს პოცდამის შეთანხმება ბერლინის შესახებ.**

ნოემბრის 10-ს ლუცნიკის სპორტის სასახლეში წარმოთქმულ სიტყვაში კრემლის მპყრობელმა ბრალი დასდო დასავლეთ გერმანიას, რომ ის ხელს უწყობს და აქეზებს საბჭოთა კავშირის და სახალხო დამოკრატიული რესპუბლიკების საწინააღმდეგო მოქმედებას და დასძინა, რომ „ბონმა უნდა იცოდეს, რომ ტრადიციული „დრანგ ნახ ოსტენ“, დღევანდელ პირობებში, მოასწავებს მათთვის სასიკვდილო მოძრაობას.“

პოცდამის შეთანხმების ანალიზის დროს ხრუშჩოვმა ბრალი დასდო დასავლეთელებს, რომ „მათ გააყალბეს პოცდამის შეთანხმების დედა აზრი, რაც გერმანიის დემილიტარიზაციაში გამოიხატებოდა. გერმანის შეიარაღება ნიშნავს მათ მიერ თავის მაღლა აწევას, რაც თავის თავად საბედისწერო იქნება მშვიდობიანობისთვის. ამის და მიუხედავათ “ევროპიული თავდაცვის ორგანიზაცია“ ცდილობს დასავლეთ გერმანიას შეუქმნას უფრო ძლიერი ჯარი, ვიდრე დიდ ბრიტანეთს და საფრანგეთს ყავს. ამით ავტომატიურად გაუქმებულია პოცდამის შეთანხმება და დასავლეთელებმა: შეერთებულმა შტატებმა, დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა, ისეთი მდგომარეობა შექმნეს, რომ სრულიათ დაეპატრონენ ბერლინს, რომელიც სახალხო დემოკრატიულირესპუბლიკის დედაქალაქია და ქალაქის ეს ზონა გადააქციეს სახელმწიფოში სახელმწიფოდ, სადაც ეწყობა და ირაზმება საბჭოთა კავშირის, თვით აღმოსავლეთ გერმანიის და ყველა ვარშავის პაქტის ქვეყნების საწინააღმდეგო მუშაობა. ამისათვის მათ სურთ გამოიყენონ აღ. გერმანიის საკომუნიკაციო საშუალებები. ამის შემდეგ ის ღა დარჩა, რომ აღ. გერმანიის კონტროლი მათ ხელში გადავიდეს, რაც დღევანდლამდე ჩვენა გვქონდა მონდობილი. დროა გადაისინჯოს ბერლინის სტატუტი და ქალაქი განიტვირთოს საოკუპაციო ჯარებისაგან“.

„საბჭოთა ხელისუფლებას მტკიცეთა აქვს გადაწყვეტილი დაიცვას პოცდამის შეთანხმებით დაკისრებული ვალდებულებები აღ. გერმანიის მიმართ, რასაც „ვარშავის პაქტიც“ ითვალისწინებს და დასავლეთელებს მისი გაყალბების უფლებას არ მისცემს. ამისათვის საჭიროა, რომსაბჭოთა ჯარის აღ. გერმანიის ტერიტორიაზე ყოფნას მიეცეს სულ სხვა ხასიათი, ვიდრე ეს გათვალისწინებულია პოცდამის შეთანხმებაში და ყოველ საკითხში შეთანხმებული იყოს აღ. გერმანიის მთავრობასთან, რომელიც ერთად ერთი სუვერენია მთელი ტერიტორიის.“

პოცდამის შეთანხმების გაუქმება და ნიკიტას ახალი პროვოკაციული გეგმა გულისხმობს, რომ ბერლინის მთელ ტერიტორიაზე უნდა პანკოვის მთავრობის ძალა-უფლება გავრცელდეს. ნიკიტასათვის ძნელად გადასაწყვეტი პრობლემა, ქალაქის დასავლეთ ზონებში მყოფი მოკავშირეთა ჯარია, რომელიც ამ მოლაყბის აზრით და მისი გეგმით პანკოვის მიერ ალყა შემორტყმულ მდგომარეობაში ვარდებიან და სრულიად მისგან დამოკიდებულნი. ხოლო თუ დასავლეთმა ამგვარი ყმური ურთიერთობა აღ. ბერლინთან არ მოინდომა, ნიკიტა ამასაც ითვალისწინებს და აცხადებს, რომ „ყოველგვარი წინააღმდეგობა და აგრესია სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ მიჩნეული იქნება, როგორც საბჭოთა კავშირის უშიშროების მუქარა“-ო და აქედან გამომდინარე ლოღიკური შედეგები....

მაგრამ, როგორც კი დასავლეთმა მტკიცე და გარკვეული პოზიცია დაიჭირა და ხრუშჩოვმა იგრძნო, რომ ცეცხლს გაეთამაშა, დაუყონებლივ უკან დაიხია და „ექვს თვიანი მოფიქრების ვადა“ გვიწყალობა!

ასეთია ხრუშჩოვის „თანაარსებობის“ და აღმოსავლეთ - დასავლეთის თანამშრომლობის პრინციპის ზნე და ბუნება.

**ვ. სანგულია.**

## დავეწიოთ და გაუსწროთ,

საბჭოთა მესვეურები ყოველნაირ საშუალებას მიმართავენ დაარწმუნონ მსოფლიო, კომუნისტური სისტემის უპირატესობაში; მათ მიერ დაპყრობილ ერების განთავისუფლება ბედნიერებაში. მათი პროპაგანდით ერთად ერთი ქვეყანა მხოლოდ ჩრ. ამერიკაა, რომ ცოტათი წინ უსწრებს საბჭოთა კავშირს მეურნეობაში, მაგრამ იმედს არ კარგავენ და მომავალ შვიდწლედში ფიქრობენ საბჭოეთში დაამყარონ ოქროს ხანა და ნამდვილი ამ ქვეყნიური სამოთხე. ნათქვამია: ხმაურობა ქონებას არა ქმნისო! იმათ სიყალბესა და სიცრუეში, რომ მსოფლიო დარწმუნდეს, საკმარისია გადავხედოთ მათ ერთად-ერთ, ხალხისაგან დამოუკიდებელ და უკონტროლო პრესას. კომუნისტური პრესა ხშირად ემყარება ციფრებს და „ფაქტებს“. მოყავთ ბევრი მაგალითები და ამტკიცებენ, რომ 1913 წელთან შედარებით ასეული პროცენტებით გადიდდა და გაიზარდა იქაური ხალხის ცხოვრება ყოველმხრივ. საინტერესოა ვიცოდეთ: ცხოვრობს თუ არა რკინის ფარდის შიგნით მომწყვდეული ხალხი ათი პროცენტით მაინც უკეთ, ვიდრე 1913წ. ე. ი. სვამს, ჭამს, იცმევს, იხურავს აქვთ საცხოვრებელი ბინა, თავისუფლება, მეგობრობა, გამტანობა, აღზრდა, ერთი მეორის პატივისცემა და სხვა თვისებები, რომელიც ახასიათებს ნორმალურ პირობებში აღზრდილ ადამიანს და რომლისთვისაც ზრუნავს ოჯახი და სახელმწიფო. რა თქმა უნდა არა. კომუნისტურმა ტერორისტულმა სისტემამ, იქაური მოსახლეობა ისე დაჩაგრა და დაჯაბნა, რომ ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ან კი როგორ შეიძლება კეთილშობილობაზე ლაპარაკი იმ ქვეყანაში, სადაც მთავრობა ავალდებულებს დედამ შვილი გასცეს, შვილმა მამა და ასე შემდეგ. ამგვარი კანონი და ზნეობა არც ერთ პრიმიტიულ და ბარბაროს ხალხს არ განუვლია. საბჭოთა სამოთხის ცხოვრების მაღალ დონეს სამაგალითოდ გამოხატავს, საბჭოეთის მიერ შექმნილი და ხმარებაში დამკვიდრებული სიტყვა „ხალტურა“. დამშეული ხალხი იძულებულია მოიპაროს და მით დაიკმაყოფილოს სავალდებულო მოთხოვნილების ნაკლულოვანება. და რადგან ეს მასიური მოვლენაა, ამიტომ აღარც სამარცხვინო და სათაკილოა და ამას უწოდებს ხალხი „ხალტურას“, რეჟიმი კი ამ მდგომარეობას უწოდებს „ცხოვრების დონის ამაღლებას და ამერიკის დაწევას“! ამგვარი საშუალებებით, საბჭოთა რეჟიმს კრიმინალობისკენ მიჰყავს საზოგადოება და მას მორალურად აქვეითებს. დღეს საბჭოთა მოქალაქის დევიზია; ბრძოლაა არსებობისთვის და თავს უშველეთო! ამ მოსაზრების დასამტკიცებლათ საკმარისია გაზ. „კომუნისტის“ 25 ნოემბრის მეთაურს გავეცნოთ. გაზეთი ამბობს:

„პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო დირექციების მხრივ კონტროლის შესუსტების შედეგათ, უკანასკნელ ხანებში, გახშირდა კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა პირად საკუთრებაში პირუტყვის ნორმების უხეში დარღვევის ფაქტები. აგრეთვე ფაქტები იმ პირების მიერ პირუტყვის დაუშვებელ ნორმებში ყოლისა რომლებიც მონაწილეობას არ იღებენ საკოლმეურნეო წარმოებაში. ამ მხრივ სასოფლო-სა კოლმეურნეო არტელის წესდების განსაკუთრებით სერიოზულ დამახინჯებებს ვხვდებით ახმეტის, კაჭრეთის, თელავის, დუშეთის, ყაზბეგისა და სხვა რაიონების კოლმეურნეობებში. მაგალითად, კაჭრეთის რაიონის სოფელ ლომბალოს კოლმეურნეობაში შემოწმებული 70 საკოლმეურნეო კომლიდან, 40 კომლს დაწესებული ნორმის ზევით აღმოაჩნდა 10-15 მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი და50-დან ასამდე სული ცხვარი. კოლმეურნეთა ასეთი სიდიდე სწყვეტს მათ საკოლმეურნეო შრომისაგან, საზიანოა საზოგადოებრივი მეურნეობისათვის, რომელიც არტელის წევრთა შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს. პირად საკუთრებაში ნორმაზე მეტი პირუტყვი ჰყავთ ელდარისა და რესპუბლიკის მთელი რიგი სხვა საბჭოთა მეურნეობის მუშებსა და მოსამსახურეებს. როგორც შემოწმებამ ცხადყო, რომ ზოგიერთ კოლმეურნეობაში ადგილი აქვს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევას და მუდმივ სამუშაოზე მწყემსებთა იმ პირთა მიღებას, რომლებიც საკუთარი პირუტყვის გადამალვისა და შენარჩუნების მიზნით თვითნებურად არიან წასული თავიანთი სოფლის კოლმეურნეობიდან. ცალკეულ პირებს, რომლებიც არ მუშაობენ კოლმეურნეობებში, ან საბჭოთა მეურნეობებში, მაგრამ ეფარებიან კოლმეურნის წევრის სახელს, დიდი რაოდენობით ჰყავთ პირუტყვი, რომელსაც ინახავენ საზოგადოებრივ საძოვრებზე. ეს არა მარტო დადასტურებულია შემოწმებით, არამედ დამტკიცებულია, ფაქტებით, რომ კაჭრეთის, სამტრედიისა და მთელი რიგი სხვა რაიონების კოლმეურნეობებში ადგილი აქვს სასოფლო სამეურნეო არტელის წესდების უხეშ დარღვევებს, იმ ნაწილში, რომელიც მიწათ სარგებლობას და საკოლმეურნეო ქონების დაცვას ეხება. სერიოზული ნაკლოვანებია შრომის ორგანიზაციის მოწესრიგებისა და აღრიცხვა ანგარიშსწორების საქმეში. ამ რაიონებში კოლმეურნეთა ნაწილს მითვისებული აქვს და ეხლაც ფლობს საკოლმეურნეო მიწებს. მაგ. კაჭრეთის რაიონის სოფელ არაშენდის კოლმეურნეობაში მიმდინარე წლის 1-ლ ოკტომბრისათვის 14-ტი მეურნე ზედმეტად ფლობდა 1,7 ჰექტარ საკარმიდამო მიწას. სამტრედიის რაიონის სოფელ ტოლებ-ის კოლმეურნეობაში 5-თ კოლმეურნეს ზედმეტათ აღმოაჩნდა 1,67 ჰექტარი მიწა. ამავე რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში დაბალია შრომის დისციპლინა. კოლმეურნეთა ნაწილი გაურბის საკოლმეურნეო საზოგადოებრივ შრომას“.

რაში გამოიხატება ზემო აღნიშნული ხალხის დანაშაული. —პირად საკუთრებაში ნორმაზე მეტი პირუტყვი ყავთო“. ე. ი. თითოს თითო ოროლა ცხვარი ყოლია მეტი, რათა ანავი დაან კარგი დღისათვის მოიხმარონ. „თვითნებურათ გამოცვალეს სამუშაო და საკოლმეურნეო ფერმაში მუშაობის მაგიერ წავიდნენ საკოლმეურნეო მწყემსად (ე. ი. ერთი ექსპლოტატორიდან მეორესთან) ორიოდე საკუთარი პირუტყვის თან წაყვანით. აბა, როგორ გაბედეს ამ „სიბოროტის„ ჩადენა იმ ქვეყანაში, სადაც ყველაფერი მუშისათვის არის. „კოლმეურნეებმა საკარმიდამო მიწას მიუმატეს და მიითვისეს“. ე. ი. 19 მოსახლემ მიითვისა სამ ჰექტარამდე მიწა! რატომ ამ მოვლენას ანგარიშს არ უწევენ და აქედან სათანადო დასკვნებს არ აკეთებენ! თუ მიითვისეს ეს იმის მაჩვენებლია, რომ ხალხს არა ჰყოფნის საარსებოთ და იძულებულია სხვა გზებს მიმართონ. „კოლმეურნეობათა ნაწილი გაურბის საზოგადოებრივ შრომასო“, გაქცევის მიზეზი ხომ ყველასთვის ცხადია! შიმშილი, შიმშილი და კიდევ შიმშილი! ამას ნიკიტას ტრაბახი არა შველის და მისი წამალია არა „ამერიკის დაწევა“ არამედ ხალხის პირველი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

ეხლა გადავხედოთ საბჭოთა მოქალაქის განათლებას, რომლითაც ხრუშჩოვი მეტათ ამა-

## ქართული ემიგრაცია ანტიკომუნისტურ ბრძოლებში.

**მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უკვე ცამეტმა წელმა განვლო. არავისათვის დაფარული არ არის, რომ ქართული ემიგრაცია, მისი ოფიციალური ხელმძღვანელების ჩათვლით, ანტიკომუნისტურ ბრძოლებში მთელი თავისი შესაძლებლობით ჩადგა (რასაც შემდეგში „ნაცისტებთან თანამშრომლობა“ ეწოდა) და ყოველგვარი საშუალებით ცდილობდა—ერთის მხრივ ინტენსიური ბრძოლა ეწარმოებინა რუსულ კომუნისტურ იმპერიალიზმთან, ხოლო მეორეს მხრივ ასევე ენერგიულად ებრძოლა გერმანიის იმ დროინდელ მეთაურებთან, რათა მათ ეცნოთ საბჭოთა კავშირის არა რუს ერთა და კერძოთ საქართველოს ეროვნული უფლებები და საბჭოთა იმპერიის დანგრევისთანავე ჩვენი ეროვნულ სახელმწიფოებრიობა აღედგინათ და დაეცვათ.**

ომის შემდეგ შექმნილი ფსიქოზის წყალობით, ქართული ემიგრაციის იდეოლოგიათა შორის მერყევმა ნაწილმა, აზრი გამოიცვალა და ჩვენ ეროვნულ განმათავისუფლებელ ბრძოლის უმნიშვნელოვანესი პერიოდი ზოგმა სრულიად უარყო და ზოგმა „პიროვნულ“ საქმიანობამდე ჩამოიყვანა. ქართული საზოგადოების ზოგიერთი წრეებისათვის უცნობია ის საქმიანობა, რომელსაც ომის პერიოდში, იმ დროინდელი ქართული პოლიტიკის ხელმძღვანელობა აწარმოებდა და რომელიც მხარდაჭერილი, გამაგრებული და გაზიარებული იყო ქართული პოლიტიკური ემიგრაციის და კომპეტენტური მოღვაწეების მიერ.

ჩვენი ეროვნულ პატრიოტული პოზიცია ნათელი იყო გერმანიის იმდროინდელი მეთაურობისათვის და აგრეთვე მოურიდებლათ და დაუფარავად, პირველივე შემთხვევისთანავე, მოვახსენეთ და განუმარტეთ გამარჯვებულ კოალიციის უმაღლეს სარდლობას.

გერმანიის კაპიტულაციამდე მოკავშირეთა სარდლობასთან და კერძოთ ამერიკულთან, კავკასიური კომიტეტის სახელით მოლაპარაკება აწარმოებდა ერთი ქართველი და რამოდენიმე კავკასიელი, რომლებსაც კომიტეტისაგან სათანადო რწმუნება ჰქონდათ. ცხადია, ინიციატივა ჩვენგან გამოდიოდა.

კაპიტულაციის შემდეგ ჩემმა სამმა კოლეგამ და მე გავაგრძელეთ მოლაპარაკება გამარჯვებული კოალიციის სარდლობასთან და 1945 წლის ივნის-აგვისტოში დასაბუთებული მოხსენებებით ავხსენით „გერმანელებთან თანამშრომლობა“ და ჩვენი ეროვნული მისწრაფებები.

ჩვენი პოზიცია გამომდინარეობდა საბჭოთა კავშირის ექსპანსიური ბუნებიდან, რომ ომის შემდეგ პერიოდში საბჭოთა კავშირის და დასავლეთის დემოკრატიის თანაარსებობა შეუძლებელი იქნებოდა და რუსეთის აგრესიული ბუნება დასავლეთის დემოკრატიას აიძულებდა აქტიურ თავდაცვაზე გადასულიყო და ენერგიულად ემოქმედნათ, როგორც პოლიტიკურ ეკონომიურ, ისე სამხედრო დარგში.

ჩვენ ვამტკიცებდით, რომ საბჭოთა კავშირი არც ისე ძლიერი და დაუმარცხებელია, როგორც ეს უცხოელის თვალს ეჩვენება და ზომიერი და გონიერი მოქმედებით ადვილია იმ სუსტი ხაზების გამოძებნა, რომლის გაყოლებაზე სულ იოლათ შეიძლება წითელი იმპერიალიზმის აგრესიის მოგერიება და მისი დამარცხება.

ამ სუსტ ხაზებ შორის გამარჯვებულთა სარდლობას წარუდგინეთ:

1. საბჭოთა კავშირის არა რუსი მოსახლეობა, რომელიც დაიპყრო რუსეთმა (ამ შემთხვევაში კომუნისტურმა) ყოველგვარი საერთაშორისო უფლების დათრგუნვით და რომლებიც შეადგენენ საბჭოთა მოსახლეობის უმრავლესობას. საბჭოთა კავშირის არა რუს მოსახლეობაში მძინვარებს რეჟიმის სიძულვილი და რეჟიმთან ბრძოლა განუყოფელია ეროვნულ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეასთან.

2. თვით რუსის ხალხის დიდი ნაწილი უკმაყოფილოა არსებული წესწყობილებით, მაგრამ ძნელათ წარმოსადგენი პოლიციური ტერორი, რომელიც ფლობს საბჭოთა იმპერიის ყოველ დარგს, შეუძლებელს ხდის ხელისუფლებასთან ბრძოლას, ამის გამო საგარეო გართულების გარეშე შეუძლებელია რეჟიმის შეცვლა და მისი შინაგანი შესაძლებლობით დამხობა. მოსახლეობის უკმაყოფილება ნათლად გამოჩნდა მეორე მსოფლიო ომის დროს, როცა წითელ არმიელები ასი ათასობით ბარდებოდნენ „მტერს“ და მათმა დიდმა უმრავლესობამ იარაღი აისხა და თავის ტერორისტულ და დემაგოგიურ მთავრობას შეებრძოლა.

რკინის ფარდის იქიდან გამოსულ მასას დიდი წარმოდგენა ჰქონდა ფარდის აქეთა მხარის ქვეყნების ცხოვრებაზე. ანტიბოლშევიკურათ განწყობილი საბჭოთა მასა განთავისუფლების მთელ იმედებს დასავლეთზე ამყარებდა და რადგან გერმანია ებრძოდა საბჭოეთს ამიტომ, ბოლშევიზმისაგან დამონებულმა ადამიანმა მხსნელად და განმათავისუფლებლად ეს ძალა მიიჩნია. გერმანელების მიერ ფრონტის ზურგში ჩაყრილი ფურცლები, რომლითაც საბჭოეთის ხალხს თავისუფლებას პირდებოდნენ, უფრო ამტკიცებდა ამ რწმენას.

კავკასიელების სპეციფიკურ განწყობილებაში დიდ როლს თამაშობდა 1918 წლის მოგონება, როდესაც გერმანიამ ხელი შეუწყო კავკასიელ ერების ეროვნულ სახელმწიფოებრივ აღდგენას.

საბჭოთა მასისათვის აუხსნელი და გაუგებარი იყო ანგლო-საქსონების პოზიცია საბჭოეთის მიმართ და მათი „მეგობრობა“, რადგან საბჭოთა კავშირი „დასავლეთის კაპიტალისტურ ქვეყნებს“ უფრო მეტად ებრძოდა, ვიდრე ნაცისტურ გერმანიას და ეს პროპაგანდა, ზოგიერთ მის ფორმებში, თვით ომის დროსაც არ შეწყვეტილა. ამის გამო საბჭოთა მოქალაქეს შთაბეჭდილება ჰქონდა, რომ გერმანიასა და ანგლო-საქსონებ შორის კონფლიკტი მხოლოდ „კაპიტალისტურ“ ნიადაგზე იყო წარმოშობილი და ამ დაპირდაპირებაში თავის ბუნებრივ მოკავშირეთ ის მიაჩნდა, ვინც მისგან მოძულებულ რეჟიმს ებრძოდა.

თუ მესამე რაიხის მეთაურობა სინამდვილეს სწორეთ გაიგებდა, აღიარებდა და ამის და მიხედვით იმოქმედებდა, მაშინ, სრულის რწმენით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ „ძლიერი საბჭოთა კავშირიდან“ მხოლოდ მწუხრი მოგონება ღა დარჩებოდა. ამისათვის საჭირო იყო: 1. შექმნა თავისუფალი და დამოუკიდებელი უკრაინის და ბალტიის ქვეყნების. 2. კავკასიის ხალხის დამოუკიდებლობის აღიარება, 3. რუსეთის ეროვნული მთავრობის შექმნა, 4. საბჭოთა ტერიტორიის დაკავებულ ზონებში ადგილობრივი ხელისუფლების პატივისცემა და, როგორც მათთან, ისე მის ემიგრაციებთან კონსტრუქტიული თანამშრომლობის დამყარება და 5. სამხედრო ტყვეებთან და სამუშაოთ გამოყვანილ მოქალაქეებთან ადამიანური მოპყრობა.

სინამდვილეში კი რაიხმა აფსოლუტურად

ყოფს და ქვეყნიერებას არწმუნებს, რომ საბჭოთა კავშირი ყველაზე მაღლა დგა. ამისათვის მოუსმინოთ იგივე გაზ. „კომუნისტის“ 27 ნოემბრის ნომერს. გაზეთი აცხადებს, რომ „მოსწავლეთა სწავლა აღზრდის საქმეში სკოლებს დღემდე დიდი ნაკლოვანებები აქვთ. საშუალო და ტექნიკური სასწავლებლების კურს დამთავრებულთა დიდ უმრავლესობას არ შესწევს ცოდნა და უნარი დამოუკიდებლათ დაწერონ განცხადება და ავტობიოგრაფია, გააფორმოს ხელშეკრულება, შეადგინოს აქტი და ოქმი, დაწეროს დახასიათება, ცნობა, მიმართვა, ხელწერილი, მინდობილობა, ანდერძი და ვერ უპასუხებს დასმულ კითხვებს, რაც არ ეპატიება საშუალო სკოლის კურსდამთავრებულ მოსწავლეს. დასამალავი როდია, რომ ბევრმა საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა ახალგაზრდამ არ იცის თუ როგორ მოიქცეს საზოგადოებაში. საჭიროა მოსწავლე არა მარტო ოჯახში, მშობლების დახმარებით, არამედ, სკოლაშიც, პედაგოგების საშუალებით, სწავლობდეს საზოგადოებაში ყოფნისა და მოქმედების წესებს და ჩვევებს“. იმავე გაზეთში ვკითხულობთ: „უმანიტარული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები ხშირად ამჟღავნებენ დაბალ ცოდნას, მართლმეტყველებისა და მართლწერის წესების უცოდინარობას. კურიოზია, მაგრამ ფაქტია, რომ ზოგიერთი აბიტუენტი უმაღლეს სასწავლებელში შესატან განცხადებასაც სხვას აწერინებს“.

ამერიკას და ვერც ერთ ევროპის ქვეყნებს, რომ საბჭოთა კავშირი ვერ დაეწევა, ამისათვის მოვიყვანთ ფრანგულ ჟურ. „მაჩის“ დირექტორის ,ცნობილი ჟურნალისტის, რეიმონ კარტიეს წერილს, რომელიც გასული ნოემბრის ნომერში გამოქვეყნდა თავისუფალ პრესაში იშვიათად ხდება ციფრების გაზრდა-გაყალბება, ვინაიდან დასავლეთში პრესა თავისუფალია და მცირეოდენი შეცდომაც კი არ ეპატიება მწერალს და ძვირათ დაუსვამენ ამას. ამიტომ იმსახურებს კარტიეს ცნობა მეტ ნდობას. საბჭოთა პრესა კი „შეუვალია“ და საზოგადოებამ ისე უნდა მიიღოს, როგორც იწერება. „შვიდ წელიწადში—თქვა ხრუშჩოვმა, რუსეთში პროდუქცია თვითეულ მოქალაქეზე გადააჭარბებს ამერიკის პროდუქციას და საბჭოთა მოქალაქის მატერიალური კეთილდღეობა დაეწევა ამერიკისას.“ ნიკიტამ კიდევ უფრო გაბერა თავისი წინასწარმეტყველობა, როდესაც ამერიკელ ჟურნალისტს ვალტერ ლიპმანს მიმართა: „ამერიკა ცხოვრობს თავის სიდიდის უკანასკნელ წელში. ჩვენ სულ მალე გავასწრობთ მას პროდუქციის გამზადებაში“! ამერიკის ეკონომისტების ცნობით და დასკვნით ხრუშჩოვის ეს ცნობა სინამდვილეს არ შეეფერება. რუსეთი ამაყობს, რომ მათმა რკინის გზამ იმდენი ტონა საქონელი და ხალხი გადაზიდა, რამდენიც ამერიკისამ. მათ ავიწყდებათ, რომ ამერიკაში რკინის გზა რეგრეს აკეთებს ავტო მანქანების და ავიაციის სასარგებლოდ. დღეს ამერიკაში არსებობს 7 მილიონი ოჯახი, რომლებსაც აქვთ ორ ორი ავტომობილი და მე ვერ ვხედავ, როგორ შეუძლიან რუსეთს შეავსოს ეს დანაკლისი მარტო 125.000 ტურისტული ავტომობილის გამოშვებით, თავისი ახალი გეგმის მიხედვით. დამატებით კიდევ ვერ ვხედავ, თუ რა ოპერაცია უნდა აწარმოოს ხრუშჩოვმა საცხოვრებელი ბინების მხრივ, რომ დაეწიოს ამერიკას, სადაც თვითეულის საცხოვრებელი ბინა არის 34 კვ. მეტრი, რუსეთში კი ხუთი კვადრატული მეტრი როდესაც ხრუშჩოვი ლაპარაკობს ამერიკის დაწევაზე, იმას წარმოდგენილი აქვს კურსი და მჯდარი კაცის წინააღმდეგ. იმას ვერ წარმოუდგენია, რომ ამერიკაც მოძრაობს და წინ მიდის. ერთ-ერთ ძალას, რომელიც მის წინსვლას ქმნის, მისი მოსახლეობის არა ჩვეულებრივი ზრდაა. არავის არა ჰქონდა წარმოდგენილი, რომ 1960 წ. ამერიკას 180 მილიონი მცხოვრები ეყოლება. ე. ი. ორჯერ მეტი ვიდრე ამ 50 წლის წინად. ყოველ დღე იბადება 11.000 ბავშვი და ყოველდღე იზრდება ამერიკა, როგორც ქალაქი ნანტი. ამ კონსომატორების გამრავლება არის თავდები ეკონომიური ექსპანსიის გაგრძელების. 1957 წელში მუშის საშუალო შემოსავალი იყო 5300 დოლ ე. ი. 2. 200. 000ფრ. 1975 წელში ეს შემოსავალი, ალბათ იქნება 7000-სი. 1914 წელს ერთი წყვილი ფეხსაცმელის ყიდვას უნდოდა 28 საათის და 8 წუთის მუშაობა, დღეს საკმარისია ერთი საათის და 51 წუთის მუშაობა. ერთ გირვანქა კარაქს უნდოდა ერთი საათი და 37წუთის მუშაობა, დღეს საკმარისია 23წუთის მუშაობა. ეს ბუნებრივია, რომ რუსეთი ცდილობს ამ კარგი ცხოვრების კონკურენციას, მაგრამ იმან უნდა გაირბინოს უფრო გრძელი გზა, ვიდრე ეს ხრუშჩოვს აქვს წარმოდგენილი. 65 პროცენტი ამერიკელი მუშა არის სახლის მესაკუთრე, სადაც ის ცხოვრობს და 90 პროცენტს აქვს საკუთარი ავტომობილი. ალბათ ბევრი აღარაფერი დარჩება კომუნისტური სისტემიდან, როდესაც ასეთ ციფრებს მიაღწევენ რუსეთში. ასე რომ საფრანგეთში იყოს, კომუნიზმი იქნებოდა მხოლოდ წარსულის მოგონება.“

ასე ამთავრებს ეს მიუდგომელი ჟურნალისტი თავის წერილს.

**დ. ახვლედიანი.**

## ბოლშევიზმი მეხუთე ათეულის დასაწყისის პერსპექტივაში.

(გაგრძელება. იხ. „ქ. აზრის“ 25-თე ნო.)

ხალხები თხოულობენ, ელოდებიან ბოლშევიზმის მიერ გაცემულ თამასუქების განაღდებას. თამასუქი კი უხვად არის გაცემული, რამაც ხალხის მასები შეცდომაში შეიყვანა, ვინაიდან ენდო ავანტიურისტთა შეპირებას. დაპირების არ ასრულება კი სახიფათოა ხელისუფლებისათვის, ვინაიდან ეს მას ნდობას უკარგავს. ხალხის მასების ფსიქოლოგიამ უკიდურესობა იცის. ან გულუბრიყვილოთ ენდობა, ან და სასტიკად მოითხოვს. აი აქ და ამ დროს ისმება მმართველობის წინაშე საბედისწერო საკითხი! ძველი გზით ივლის და ხალხს ისევ სილატაკეში ამყოფებს, ამით ხალხის უკმაყოფილებას გაზრდის, რაც რეჟიმისათვის საშიშია. ხოლო თუ დააკმაყოფილებს ხალხის სამართლიან მოთხოვნილებებს, ამ შემთხვევაშიც ხალხი, მატერიალურად წელგამაგრებული, მეტს ენერგიას შეიძენს, მას მადა გაეხსნება ოპოზიციას ძალა მოემატება, რაც ისევე საბედისწერო გახდება რეჟიმისათვის. ასეთი გამოუვალი მდგომარეობა მოგვაგონებს ერთი ქართული ზღაპრის ამბავს;—ყმაწვილი კაცი, მეფის ვაჟი, გზათ მიდიოდა და უცბათ წააწყდა ერთ მშვენიერ კოშკს, რომლის კარებზე ნახა წარწერა: „შემოხვალ ინანებ, არ შემოხვალ და მაინც ინანებო“.

კრემლის დღევანდელი ბატონების მდგომარეობა სწორეთ ასეთია. საინტერესოა, რომ ას ეთსავე დასკვნას აკეთებს მიუნხენის ერთი გავრცელებული გაზეთის კორესპონდენტი ფრანც თომა, რომელიც მოსკოვში მუდმივათ ზის, რუსული საკმაოთ კარგათ იცის და ეტყობა სანდო მისასვლელი გზებიც მოეპოება, აკეთებს რა შექმნილი მდგომარეობის ანალიზს, დასძენს. რომ კრემლის მეთაურთ თავსამტვრევ საკითხად გადაექცათ სწორეთ ზემო აღნიშნული დილემა;; მოუშვან რეჟიმის სათავეები თუ კვლავ მოუჭირონ“. სადავეების მოჭიმვა სტალინისავით, მათ ძალას და ღონეს აღემატება, მოშვების წინაშე კი ძაგძაგებენ...

ბორის პასტერნაკმა თავის რომანში გამოამჟღავნა ხალხის მასების სულისკვეთება. უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანი სიტყვა, პირწმინდა ბრალდება, ეკუთვნის მწერალ უსტოვსკის, რომელიც წარმოსთქვა მან მწერალთა სახლში 22 ოქტომბერს 1956 წელს. ეს სიტყვა იმდენათ დამახასიათებელია აღნიშნული თემისათვის, რომ მოვიყვან ისე, როგორც ის დაიბეჭდა ფრანგულ ჟურნალში „ექსპრეს“ში. სიტყვა ნათქვამია ლუდინცევის რომანის „არა მხოლოდ პურითა ერთითას“ კრიტიკის გამო.

„მე არას ვამბობ რომანის ლიტერატურულ ღირსებაზე და ან მის ნაკლულოვანებაზე. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ დადგა დრო ხმა ამოვიღოთ ყველას გასაგონად. ამხანავებო! ლუდინცევი წარმოადგენს უაღრესათ დიდ სოციალურ მოვლენას. მისი რომანი პირველი იერიშია „დროზდოველების“ წინააღმდეგ. (დროზდოვის სახით რომანში წარმოდგენილია ბოლშევიზმის მიერ შექმნილი უსულო და ზვიადი ბუროკრატია. დ. ს.) „დროზ-
რატურა მის საბოლოოდ გასანადგურებლად.
დოველებს“ უნდა შეებრძოლოს ჩვენი ლიტე-

ჩვენს ქვეყანაში „დროზდოვები“ ათი ათასობითაა და სწორეთ იმათ შესახებ მინდა დღეს ლაპარაკი. სასიამოვნოა, რომ ისინი, რომელნიც „დროზდოველებს“ ჰგვანან, დღეს ამ კრებაზე არა სჩანან. მწერლის სინდისი უნდა გამოხატავდეს თვით ჩვენი ხალხის სინდის. ლუდინცევმა გამოამჟღავნა ის წუხილი და შიში. რომელსაც ჩვენ ყველა განვიცდით. ეს არის შიში ჩვენი კულტურის გამო.

ლუდინცევის შრომა ულმობელი სიმართლეა, რომელიც ესაჭიროება ჩვენ ხალხს თავის ეკლიან გზაზე, ნაციონალური მმართველობის შესაქმნელად. ამავე დროს ის წარმოადგენს სერიოზულ გაფრთხილებას ჩვენს მიმართ. საშიშროება ჯერ კიდევ არსებობს, რიცხვი „დროზდოვებისა“ ჯერ არ შემცირებულა. ისენი განაგრძობენ არსებობას და მაღალი თანამდებობებიც უკავიათ. ამას წინათ მე მომიხდა შეხვედრა „დროზდოველებთან“ და დიდ ხანს მათთან ყოფნა. ეს მოხდა გემ „პობედაზე“. გემის ნახევარი ვიყავით მეორე და მესამე კლასის მგზავრები: ინტლიგენტები, ხელოვნებისა და თეატრის მუშაკნი, მუშები. გემის პირველი კლასი და ლუქსი კაბინები კი „დროზდოველებმა დაისაკუთრეს. ეს იყო სულ სხვა სოციალური ფენა: მინისტრთა თანაშემწენი, მაღალი სანოვნიკები, ბობოლა მოხელეები, გეგმის შემდგენლები. ჩვენ მათთან არავითარი კონტაქტი არა გვქონდა, რადგან მეორე და მესამე კლასის მგზავრთა წარმოდგენით, ისენი აუტანელნი იყვნენ თავიანთი უტიფრობით, რომელთაც არავინ არ აინტერესებდათ, გარდა თავიანთი სამსახურისა და კარიერისა. განცვიფრებას იწვევდა მათი უვიცობა. ასეთი ხალხის გაშვება საზღვარ გარეთ დიდ დანაშაულათ უნდა ჩაითვალოს.

ავტორი ასწერს რა ამგვარი ელემენტების ყოვლად მოუმზადებლობასა და უვიცობას, რომლებიც არცხვენენ მხოლოდ უცხოეთში საბჭოთა საზოგადოებას, დაასკვნის: „ხალხმა, რომელმაც შეიგნო თავისი ღირსება, აუცილებლათ გაცოცხავს თავისი წრიდან ასეთ პირთ. დარწმუნებული ვიყოთ, რომ ეს ახლო მომავალში მოხდება. ასეთი ბრძოლა უნდა განვაგრძოთ, დღეს მხოლოდ დასაწყისია.“

სტალინის სიკვდილისა და განსაკუთრებით მისი განგვირგვინების შემდეგ, ხალხმა, ინტელიგენციამ იგრძნო რა თავისუფლების სიო, ხმა ამოიღო. ზემოთ მოყვანილი რუსი მწერლის სიტყვებიდან ვნახეთ, თუ რა ხმით დაიწყო მან რეჟიმის წინააღმდეგ ამეტყველება, ბრძოლა. მართალიაპარტიულ ოლიგარხიამ ხრუშჩოვის მეთაურობით, იგრძნო რა საფრთხე, კიდევ ერთხელ მოახერხა უკმაყოფილების ხმის ჩაჩუმება, მაგრამ, როდემდის? დრონი იცვალნენ, აქ

---

უარყო გამარჯვების ეს წინდაწინი პირობა და ფატალურად განიწირა თავი. ეროვნული მთავრობების ნაცვლად მან „გაულაიტერები“ და სვა „განთავისუფლებულ“ ზონებში და ეროვნული თავისუფლების მაგიერ, ხალხს ახალი მონობის აპარატი თავს მოახვია. ამან მოსახლეობაში გერმანიისადმი უნდობლობა წარმოშვა, რაც ყოველდღიურად უფრო იზრდებოდა და ფართოვდებოდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ გერმანიაში იმ დროსაც არსებობდნენ წრეები, რომლებიც არ ეკუთვნოდნენ პარტიას და ნაცისტური იდეებისაგან განთავისუფლებულნი, ხედავდნენ რაიხის ოფიციალური ლიდერების საბედისწერო შეცდომებს და ცდილობდნენ მის გამოსწორებას. მათი მუშაობა გამოიხატებოდა, რომ ნაცისტური ლიდერების მიერ სხვა ხალხის ეროვნულ სხეულზე მიყენებული ჭრილობისათვის მალამო წაეცხოთ და ტკივილები დაეშუშებინათ.

მხოლოდ ამ წრეების საშუალებით იყო შესაძლებელი საბჭოთა მოსახლეობის და კერძოთ კავკასიური ემიგრაციის ამ საქმიანობაში ჩარევა, რომელიც ფიქრობდა გერმანელების მიერ კავკასიის დაკავების შემთხვევაში, ამ წრეების საშუალებით გამოარკვევდა არა მარტო ნაცისტების განზრახვას,, არამედ კიდეც შესძლებდა მათ გადაწყვეტილებაზე გავლენა მოეხდინა. შექმნილ მდგომარეობაში კავკასიური ემიგრაციის საქმიანობა რთული და მეტად საპასუხისმგებლო იყო. მათ ერთის მხრით უნდა ებრძოლათ რაიხის ოფიციალური პოლიტიკის წინააღმდეგ და დაეზღვიათ თავ-თავის ქვეყნების მომავალი. მეორეს მხრივ მათი ზრუნვისა და მოქმედების საგანი იყო ვადაერჩინათ გერმანულ ტყვეობაში მყოფი თანამემამულეები და შეექმნათ უფლებრივი მდგომარეობა იმ სამხედრო ერთეულებისათვის, რომლებიც გერმანული სარდლობის მიერ უკვე შექმნილი და სამხედრო ერთეულებში ჩართული იყო. არა ნაცისტური იდეოლოგიის მატარებელ გერმანელების და ეროვნებათა წარმომადგენლების ენერგიული თანამშრომლობის წყალობით, რაიხის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა, ნაწილობრივ დააკმაყოფილეს მოთხოვნილება და შედარებით ნორმალური თანამშრომლობა დამყარდა, რაც „საკავშირო შტაბების“ დაარსებით გამოიხატა.

მიუხედავათ იმისა, რომ საკავშირო შტაბებს მხოლოდ მრჩეველობითი ფუნქცია ჰქონდათ, მაინც ისენი ენერგიულათ მოქმედებდნენ, რომ გერმანულ ტყვეთა ბანაკებიდან გამოეყვანათ თანამემამულეები, სადაც მათი მდგომარეობა კატასტროფიული იყო და მასიურათ იხოცებოდნენ. ასევე წეს-რიგში უნდა მოეყვანა, გერმანელების ინიციატივით უკვე გამოყვანილი და სამხედრო ერთეულებათ ქცეული კავკასიელები, რომელთა რიცხვი 100.000 აღემატებოდა. საჭირო იყო მათი იურიდიულ-ლეგალური მდგომარეობის განსაზღვრა, რაც მთავარი იყო მათი ანტიბოლშევიკური ბრძოლის წარმატებისათვის. შტაბების განზრახვა იყო ამ სამხედრო ერთეულების საშუალებით დაეცვათ თავის მშობლიური ქვეყნის ეროვნული ინტერესები. საუკეთესოდ მოწყობილ დაზვერვის საშუალებით, შტაბებს ურთიერთობა ჰქონდათ საკუთარ ქვეყნებთან. ყველა კავკასიურ შტაბებს ერთი მეორეში ჰქონდათ მჭიდრო თანამშრომლობა და ქმნიდნენ ერთმთლიან კავკასიურ მოძრაობას, რომლის მთავარი განზრახვა იყო.. თავისუფალი, დამოუკიდებელი კონფედერატიული კავკასიის სახელმწიფოს შექმნა.

კავკასიური შტაბების საერთო ძალით და ღვაწლით მიღწეულ იქმნა, კავკასიურ სამხედრო ნაწილების ისეთ რაიონებში გადაყვანა, სადაც. ჩვენი რწმენით, მოსალოდნელი იყო ანგლო-საქსონური ჯარის გადმოსხმა. (დანმარკი, იტალია, ჩეხოსლოვაკია, საფრანგეთი და სხ.) კავკასიური სამხედრო ერთეულების მეთაურობა ჩაბარდა სანდო კავკასიელ ოფიცრებს.

ყოველგვარ ჰუმანურ მოტივებს, რომ თავი დავანებოთ, პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა მოითხოვს თავისუფლებისათვის მებრძოლი სამხედრო ერთეულები არ გადაეცეს მტერს, სადაც მათ ფიზიკური განადგურება მოელით. ანგლო-ამერიკულ ზონებში ზემო დასახელებულმა შტაბებმა მოახეხა გადაეყვანა 50.000 ჯარისკაცამდე. პოლიტიკური გონიერება მოითხოვს ისენი შემონახულ იქმნან: ზურგში გადაყვანილი და „მუშა ხელათ“ გამოყენებული. ჩვენს მიერ გათვალისწინებულ მომავალ გართულებების დროს ეს გამოცდილი ანტიბოლშევიკური ძალა მაღალ ღირებულოვან სამსახურს გაუწევსდასავლეთის დემოკრატიას. ჩვენ ამისათვის ფსიქოლოგიურად და პოლიტიკურად მომზადებულნი ვართ, რომ დასავლეთის დემოკრატიის ორგანიზაციებში ჩავდგეთ.

დაახლოვებით ეს იყო რაც ჩვენ 1945 წელს განუცხადეთ შეერთებული შტატების სამხედრო წარმომადგენლობას. სამწუხაროთ ჩვენი მოლაპარაკება ყოველგვარი პრაქტიკული შედეგების გარეშე დარჩა. 1945 წლის სექტემბრის დასასრულს გავიგეთ, რომ ქართული ბატალიონი, რომელმაც მოახერხა დრეზდენიდან ჩეხოსლოვაკიამდე ბრძოლით გაეკაფა გზა, გადაცემულ იქმნა. მხოლოდ ლეგიონის კომენდანტმა მოახერხა გაქცევა. ასეთივე ბედი ეწვია დანიაში ახლად შემდგარ სამხედრო ერთეულს. (ქართული ათასეული 799, სომხური კომპანია, ჩრდილო კავკასიური ათასეული 836, აზერბეიჯანული „ბერგმან“ 2-რე და სხვა და სხვა სამხედრო ერთეულების ნარჩენები). ყველა ეს ნაწილები ინგლისურმა სატანკო ნაწილებმა გადასცეს რუსეთს. იგივე ბედი ეწვია იტალიაში მდგომ ქართულ ათასეულს 2-198. რადგან ჯარის კაცები დარწმუნდნენ რომ მათ ყოველი მიზეზის გარეშე გადასცემენ, ერთმა ნაწილმა „დიპლომატია“ იხმარა და ნების მიერათ დაბრუნების სურვილი განაცხადა, ამით ფიქრობდნენ შეემსუბუქებინათ სასჯელი. რომელიც მათ გადაცემის შემდეგ მოელოდათ მოხალისეების მეორე ნაწილმა კი კატეგორიული უარი განაცხადა და ნების მიერი დაბრუნება არ მიიღო. დიდმა ნაწილმა მოახერხა ტრანსპორტიდან გაქცევა. ისინი ამ ჟამად გაფანტულნი არიან დასავლეთ ევროპის სხვა და სხვა ქვეყნებში. მსგავსი ბედი ეწვია დანარჩენ კავკასიელებსაც. როდესაც გერმანელები იტალიიდან იხევდნენ მათთან მყოფი ჩრდილო კავკასიელები, როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო ნაწილები, ძალით და მოტყუებით გადაეცა რუსეთს.

საუკეთესო ქართული მებრძოლი ერთეული „ბერგმანი“, რომელსაც გერმანული ჯარი ბალკანეთიდან დახევის დროს ზურგის დამცველათ იყენებდა, ომის ვითარების გამო ვერ მოასწრო, როგორც გათვალისწინებული იყო, ტრიესტიდან იტალიაში გადასვლა და იქ მყოფ 2-198 ათასეულთან შეერთება და ხელში ჩაუვარდა ტიტოს. ამის გარდა სხვა და სხვა ნაწილებიც იგდო ხელთ რუსულმა არმიამ.

**გ. გაბლიანი,**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აბრამ ლინკოლნი

(გაგრძელება. იხ. „ქ. აზრი“ ნომ. 21.)

ამ ნიადაგზე, რომ დებატები გაგრძელებულიყო და ვილმოტის და კალხენის წინადადება ცხოველი მსჯელობის საგნათ გამხდარიყო, ჯიუტი და მოუსვენარი სამხრეთელი კავშირს დარღვევამდე მიიყვანდა, უფრო ადრე, ვიდრე ჩრდილოეთი საწინააღმდეგოთ მოემზადებოდა. მაგრამ ჰენრი კლეი სენატს სწორედ მაშინ დაუბრუნდა, როცა კრიზისმა თავის აპოგეას მიაღწია და ის შეეცადა ყოველი საფასურით გადაერჩინა ფედერაცია, რომელიც თავის-თავად კომპრომისზედ იყო დაშენებული.

როგორც დავინახედ, კლეი 1810 წლიდან მცირედის ინტერვალებით, კონგრესის წევრი იყო. სამჯერ წამოაყენა თავისი კანდიდატურა საპრეზიდენტოთ და ადამსის პრეზიდენტობის დროს (1825—29) ებარა გარეშე საქმეთა სამინისტრო. ჩამომავლობით ვირჯინიელი კენტუკიში აღიზარდა. ღია მომხიბვლელი ბუნების კლეი სავსე იყო პატრიოტული გრძნობებით და ამაყობდა, რომ 1820წ. იხსნა კავშირი რღვევისაგან, მეორეთ 1833წ. და როდესაც ეს მან მესამედ სცადა კვლავ ეხსნა კავშირი განსაცდელისაგან, კლეი ამ დროს უკვე 77 წლის მოხუცი იყო

კლეიმ იცოდა, რომ ბამბის წარმოება, რომლის არსებობაც მონათმფლობელობის გარეშე არწარმოედგინათ სამხრეთელებს, შეუძლებელი იყო 98 მერედიანის დასავლეთით, ხოლო მექსიკიდან შემოერთებული ყველა მიწები ამ მდგომარეობაში იმყოფებოდა; მთლიანათ იყო მშრალი უდაბნო, გარდა წყნარ ოკეანეს მახლობელ ტერიტორიისა

კლეიმ ისიც იცოდა, რომ კალიფორნია, რომლის კლიმატი მონათმფლობელობის შესაძლებლობას სტოვებდა, თანახმა იყო კავშირში მხოლოდ, როგორც თავისუფალი შტატის უფლებით შემოსულიყო. კლეი ამაში ხედავდა შესაძლებლობას, რომ დაეკმაყოფილებინა სამხრეთის თავმოყვარეობა და ჩრდილოეთის პრინციპები. 1850 წლის იანვარში მან სენატში შეიტანა წინადადება, რათა ორივე მხარე წასულიყო დათმობაზე. პირველი პირობა იყო რომ კალიფორნია კავშირში უნდა შემოსულიყო, როგორც თავისუფალი შტატი და იქ იკრძალებოდა მონობა, მეორე—უნდა აკრძალულიყო მონობით ვაჭრობა კოლუმბიის მიდამოებში. მესამე—მექსიკის იმპერიის ყოფილი მიწა უნდა გაყოფლიყო ტერიტორიებად (იუტა და ახალი მექსიკა), სადაც არ იქნებოდა წინასწარ დაკანონებული არც მონათმფლობელობა და არც საწინააღმდეგო. მეოთხე: უნ და მიეღოთ უფრო მკაცრი კანონი გაქცეული მონების წინააღმდეგ, რათა სამხრეთელებს შესაძლებლობა აღარ ქონოდათ მუდმივი უკმაყოფილებისა და ველარ ეთქვად, რომ „აბოლიციონისტები“ ხელს უწყობენ და ფარავენ, როცა მათი „კერძო საკუთრება“ მონათმფლობელს მიურბის და ემალება.

კლეის, თავის წინადადების დასაცავად მრავალჯერ დასჭირდა კონგრესის წინაშე გამოსვლა და აფრთხილებდა ჩრდილოელებს, რომ მათ ანგარიში გაეწიათ სამხრეთელების თავმოყვარეობისათვის და ამტკიცებდა, რომ სახელმწიფოებრივი სიბრძნე ის კი არ არის, რასაც ფორმალურად ეჭიდება ვილმოტი, არამედ საჭიროა მისი არსებითი დაცვა და დამტკიცება, რომ კლიმატური მდგომარეობა შეუძლებელსა ხდის იმ მიდამოებში მონათმფლობელობითი მეურნეობის წარმოებას და განსაკუთრებით შეუძლებლია ეს მექსიკეობაში.

კლეი აგრეთვე აფრთხილებდა სამხრეთს, რომ განცალკევება მოასწავებს ომს: „მრისხანეს. სისხლიანს. უწყალოს და გამანადგურებელს“. მან სწორეთ იწინასწარმეტყველა, რომ შუა დასავლეთის და მისისიპის მაღლაველის მცხოვრებნი არჩევდნენ ომს, ვიდრე მათი მდინარეების სათავის დაკარგვას. ის მტკიცედ იცავდა მთელი კვირის განმავლობაში ამ უბრალო და ნათლად წარმოდგენილ პუნქტებს მისი დამაჯერებელი ტონი, ძლიერი არგუმენტი და ლოღიკა იპყრობდა მსმენელთა ყურადღებას და მათში ნდობას იმსახურებდა.

კალხენმა უპასუხა, რომ კლეის მიერ წარმოდგენილი საშუალება არ გულისხმობს და არ შეიცავს სამხრეთის ინტერესების დაკმაყოფილებას. „მისურის კომპრომისის“ მსგავსი აქტებით სამხრეთს მოესპო შესაძლებლობა გაეფართოვებინა თავისი საზღვრები. ასევე სამხრეთი ცხოვრობდა მუდმივი მუქარის ქვეშ, რომ ჩრდილოეთის უმრავლესობა კვლავ შემოიღებს მაღალ გადასახადს, რომელიც სასარგებლო იქნება მხოლოდ კავშირის ინდუსტრიალური ნაწილისათვის და დამღუპველი სოფლის მეურნეობით მცხოვრებ შტატებისათვის. ამასთან ერთად სამხრეთი ყოველთვის ვანიცდიდა აბოლიციონისტების თავდასხმას, რომლებიც ცდილობდნენ დაემხოთ ჩვენი სოციალური წყობა. ამიტომ სამხრეთს უნდა ჰქონდეს უფლება უარყოს ფედერალური კანონი, ან მას რჩება მხოლოდ ერთი გზა —გზა განცალკევების.

(გაგრძელება იქნება. )

**არ. დონაური.**

---

გაზეთი უკვე შეკრული და დასაბეჭდათ გადაცემული იყო, როცა პარიზიდან მივიღეთ უაღრესათ სამწუხარო ცნობა:

გარდაიცვალა ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე და დამოუკიდებელი საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი საფრანგეთში

**აკაკი ჩხენკელი.**

ულრმესი მწუხარებით ვაუწყებთ ქართულ ემიგრაციას

ღრმა თანაგრძნობას და სამძიმარს უცხადებთ მის ოჯახს.

---

ღრმა მწუხარებით ვაუწყებთ ქართულ საზოგადოებას, რომ ბრიუსელში, (ბელგია) გარდაიცვალა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის თავდადებული მებრძოლი

**ელიზბარ ვაჩნაძე**

„ქართული აზრის“ რედაქცია ღრმა თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს და შვილს.

---

შეიძლება განმეორება მეფე ლირის სიტყვებისა: „დრონი მეფობენ და არა მეფენი“.

ხრუშჩოვის ბრძოლა დროს წინააღმდეგ არის. ის ახლა ცდილობს სტალინის დროს მობრუნებას, ვინაიდან ამჩნევს, რომ ახალი მეთოდით შერყეული რეჟიმის გადარჩენა შეუძლებელია. ამის გამოა, რომ ამოაცურა მან გენერალი სეროვი, ეს დაბადებით ჩეკისტი და ჯალათი უნგრეთის ხალხისა. ბერიას მოსპობის შემდეგ —„თავდაცვის“ აპარატი საგრძნობლად შეირყა თვით ხრუშჩოვმა პარტიის მეოცე ყრილობაზე ცეცხლს ნავთი დაასხა, ხოლო დღეს ამჩნევს, რომ უამისობა არ იქნება. ჩეკა იყო ხომ უმთავრესი დასაყრდენი პარტიისა და დიქტატურისა. ხრუშჩოვს დღეს ის სჭირდება, ამიტომ ცდილობს მის ორგანიზაციის აღდგენას და ავტორიტეტით შემოსვას. გენერალი სეროვი საუკეთესო პირია ასეთ საქმისათვის. მან ბევრ საქმეში გაითქვა სახელი, ისე რომ როცა ის საზღვარ გარეთ ჩნდება, მას საპროტესტო დემონსტრაციებს უწყობენ. ის დაჯილდოვებულია ლენინის სამი ორდენით, სუვოროვის და კუტუზოვის პირველი ხარისხის ორდენებით, რომელთაც ის ყოველთვის ატარებს. სეროვი ჩეკისტი გენერალია. 1947წლიდან ის პირველი თანაშემწე იყო შინაგან საქმეთა მინისტრის, ბერიასი, რომელსაც ყოფილი თანაშემწე ეხლა ასე იხსენიებს: „საზიზღარი მოღალატე და ავანტიურისტი, რომელიც თავდაცვის ორგანოს იყენებდა ტერორისათვის, პატიოსან პარტიულ ამხანაგებისა და ბევრ შემთხვევაში უბრალო მოქალაქეების დასაშინებლათ და დასამცირებლათ.

ასეთი პიროვნება გამოიყვანა ხრუშჩოვმა ჩეკის აპარატის შერყეული პრესტიჟის აღსადგენად. ამისათვის დასჭირდა მას თვით სეროვის პოლიტიკურ სარბიელზე გამოჩენა. სეროვმა „პრავდას“ 1957 წ. დეკემბრის ნომერში გამოაქვეყნა პოლიტიკური წერილი და საიუბილეო კრებაზე პარტიულ და საზოგადო მოღვაწეთა წინაშე წარმოსთქვა მთავარი პოლიტიკური სიტყვა. ასეთი შემთხვევა სტალინის დროს არას დროს არა ყოფილა. ჩეკისტი, დიდი თუ პატარა, თავის ჩეკისტურ საქმეს აკეთებდა. სეროვი, სხვათა შორის, კრემლის დამცველი რაზმის უფროსი იყო და სტალინის განსაკუთრებულ საქმეთა აღმასრულებელი. დღეს ხრუშჩოვს სჭირდება სეროვი, ისე, როგორც სეროვს სჭირდება ხრუშჩოვი. ხელი ხელსა ბანს, ორივენი კი პირსაო!

ყველაფრიდან სჩანს, რომ ხრუშჩოვს სჭირდება სეროვი და მისი აპარატის აღდგენა არა მარტო შინაურების წინააღმდეგ, ოპოზიციის დასათრგუნავად, არამედ მას სჭირდება საბჭოთა კავშირის გარეთაც, სატელიტების კომუნისტური პარტიების დასამორჩილებლად. ეს კი იგივე გზაა რაც სტალინის დროს იყო. ხოლო საეჭვოა, რომ ხრუშჩოვი შესძლებს იმას, რასაც სტალინი ადვილად ახერხებდა.

(გაგრძებელა იქნება.)

**დ. სალირაშვილი.**

---

## მორიგი მსხვერპლი.

გაზეთი უკვე აწყობილი იყო, როდესაც უაღრესათ სამწუხარო ცნობა მივიღეთ: ბრუსელში (ბელგია) გარდაიცვალა

**ელიზბარ ვაჩნაძე.**

**იქნება ზოგმა, და კერძოთ ახალთაობიდან, ბევრმა არ იცის, რომ განსვენებულის უპრეტენზიო და სადა საქციელში გმირული ბუნების მამულიშვილი იმალებოდა. პარტიზანული ბრძოლების პერიოდში (1922-1924წ.) განსვენებულმა იარაღი აისხა და სამშობლოსათვის მიძღვნილ, ნეტარხსენებულ ქაქუცას შეუერთდა. ელიზბარმა თავისი სიმხნევით, სიმამაცით და მებრძოლი ბუნებით მალე იჩინა თავი და ქაქუცას რაზმის მეთაური გახდა.**

**საქართველოს მთებში და ბარში დიდ ხანს დანავარდობდა ელიზბარი და სამშობლოს ორგულსა და მოღალატეს და საოკუპაციო ხელისუფლებას რისხვად და მეხად ევლინებოდა. მის ლეგენდარულ გამოსვლებს და ბრძოლის ეპიზოდებს ჩვენ კვლავ დაუბრუნდებით. განსვენებული 1924 წლის ეროვნული აჯანყების შემდეგ, ქაქუცასთან ერთად, უცხოეთში გაიხიზნა. 1926 წელს ერთხელ კიდევ მოევლინა მშობლიურ ქვეყანას, მაგრამ აჯანყებაში გალეულ მსხვერპლისა და მტრის მიერ იქ გაბატონებული ტერორით დავრდომილ ხალხს ახალი რეპრესიები აღარ ესაჭიროებოდა და ელიზბარმა გულის თქმა ჩაიკლა და კვლავ უცხოეთს მიაშურა.**

**შავი ტყის მგელი და მთის არწივი უცხო იყო ევროპიული ცხოვრებისათვის და თვით ევროპა მისთვის.**

**კალაპოტიდან ამოვარდნილი მდინარესავით ეხეთქებოდა აქეთ-იქით და ერთი ქვეყნიდან მეორეში გადადიოდა. მისი მებრძოლი აქტიური ბუნება ევროპიულ მშვიდ და ,,უფერულ“ ცხოვრებას ვერ იტანდა, ვერ ურიგდებოდა და ამ ,,ხეტიალში“ უმწიკვლოდ ინახავდა სამშობლოს სიყვარულს და მისთვის თავდადების გრძნობას.**

**საქართველოს მარადიულ გრძნობებში ჩაიფერფლა ერთგული ქართველი მამულიშვილის სიცოცხლე და უცხო მიწას მიებარა საქართველოს მტრის რისხვა და მეხი.**

---

ჩ. ა. შ. შტატების ქართულ სათვისტომოში.

გასული ნოემბრის 30-ს, ნაშუადღევის 4-ს. სასტუმრო „ბილტმორის“ დარბაზში შესდგა ქართული სათვისტომოს წლიური საზოგადო კრება. კრებას თავმჯდომარეობდა ექ. გ. გაბლიანი. მდივნობდა ბ-ნი ს. გაბუნია.

კრებამ მოისმინა სათვისტომოს თავმჯდომარის ბ-ნ ვ. კობახიძეს, მდივნის—ბ-ნ პ. ხვედელიძეს, სარევიზიო კომისიის სახელით ბ-ნ არ. კეკელიას, ქართული კერის საალმშენებლო კომისიის სახელით—ბ-ნ გ. დონაურის და მოვალეთა შემსწავლელი კომისიის სახელით —ბ-ნ ს. ერისთავის მოხსენებები.

მეტად საქმიანი მსჯელობის და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, კრებამ ერთ ხმად დაადასტურა მომხსენებელთა მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები, გამგეობას და ცალკე კომისიებსუდიდესი მადლობა გამოეცხადა გაწეული შრომისათვის და არჩეულ იქმნა ახალი გამგეობა და სპეციალური კომისიები შემდეგი შემადგენლობით.

სათვისტომოს თავმჯდომარეთ ერთხმად არჩეულ იქმნა ოთარ ზალდასტანიშვილი. წევრებათ: დ. ალავიძე, თ. ბაგრატიონი, ს. ბარათელი, ს. გაბუნია, ლ. დუმბაძე და ს. ჯინჭარაძე

სარევიზიო კომისია: ს. დუმბაძე, ა. კეკელია და ნ. თოფურია.

ქართული კერის საალმშენებლო კომისიის შედგენა და მისი ხელმძღვანელობა დაეკისრა ინჟ. გ. დონაურს.

---

გასული წლის ნოემბრის 28-29-ს ჩატარდა ჩ. ა. შ. შტატებში არსებულ ეროვნულ პოლიტიკური ორგანიზაციის „ეროვნული ერთობის“ უმაღლესი საბჭოს წლიური ყრილობა.

ყრილობამ განიხილა განვლილი წლის მუშაობა, რომელიც მოიწონა და დაადასტურა მომავალი წლის სამოქმედო გეგმა.

როგორც უმაღლესი საბჭოს, ისე მისი აღმასრულებელი ორგანოს შემადგენლობა უცვლელი დასტოვა.

აგრეთვე ყრილობამ ერთხმად მიიღო „ქართული აზრის“ რედაქციის მიერ წარდგენილი დებულებები და დაამტკიცა, რომ „ეროვნული ერთობის“ ორგანო „ქართული აზრი“ დარჩეს ყოველი ქართველისათვის თავისუფლად აზრის გამოთქმისათვის ხელმისაწვდომ ორგანოთ და დაადასტურა რედაქციის სახელმძღვანელო დებულებები, რომელსაც აქვე ვაქვეყნებთ.

სარედაქციო კოლეგია დამტკიცებულ იქმნა ძველი შემადგენლობით.

### გაზეთის სახელმძღვანელო დებულებები

„ქართული აზრის“ რედაქცია მიზნათ ისახავს საქართველოს და კავკასიის დამოუკიდებლობის იდეის პროპაგანდას და რუსულ კომუნისტურ იმპერიალიზმთან ბრძოლას.

1. მეთაური წერილი უნდა გამოხატავდეს რედაქციის აზრს ამა თუ იმ პოლიტიკურ, სოციალურ და საზოგადოებრივი ხასიათის მიმდინარე საკითხზე. ყოველი საერთაშორისო მოვლენა უნდა გაირჩეს ეროვნული თვალსაზრისით.

2. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს საბჭოთა კავშირში მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებს და ცვლილებებს, რომელიც შეეხება „კავშირის“ არა რუს ეროვნებებს და კერძოთ კავკასიელებს და მათ ურთიერთობას რუსებთან.

**3. მკითხველ საზოგადოებას გააცნოს, ან მოაგონოს, საქართველოს გმირული ბრძოლის მაგალითები, რომელიც მას საუკუნეთა გასწვრივ უწარმოებია ეროვნულ სახელმწიფოებრივი არსებობისათვის. ხელი შეუწყოს სამშობლოსათვის მიძღვნილობის და მისთვის თავდადების გრძნობის გაღვივებას და აამაღლოს ბრძოლის და მტერთან შეურიგებლობის მორალი.**

**4. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოში ქართველი ხალხის მიერ გამოვლინებულ ფაქტებს, რომელიც დამადასტურებელი იქნება, რომ დამოუკიდებლობისადმი ლტოლვა და მისწრაფება ვერ შეანელა მოსკოვის საოკუპაციო მმართველობის მრისხანებამ და ქართველი ერი ყოველ გარემოებას გამოიყანებს მის აღსადგენად.**

**5. საქართველოს შინაგანი ვითარების თვალყურის დევნა და მასთან შეფარდებით პოლიტიკური კურსის აღება და მისი პროპაგანდა.**

**6. ქართული ემიგრაცია იყოლიოს თანამედროვე საქართველოს კულტურული შემოქმედების პროგრესის კურსში და დაამტკიცოს, რომ მიუხედავათ რუსული საოკუპაციო რეჟიმის დაწოლისა და ამით შექმნილი მძიმე პირობებისა, ქართული შემოქმედებითი ნიჭი მაინც ახერხებს მაღალ კულტურული ნიმუშების შექმნას. ამისათვის საჭიროა იწერებოდეს საბჭოთა საქართველოში გამოცემული ლიტერატურული და მეცნიერული შრომების რეცენზიები.**

**7. გააცნოს მკითხველ საზოგადოებას ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები, როგორც გასაბჭოებამდე, ისე საბჭოთა დროინდელი, თუ ის გამოხატავს ქართველი ერის ეროვნულ პატრიოტულ მისწრაფებებს.**

**8. ხელი შეუწყოს და განამტკიცოს კავკასიელ ხალხთა მეგობრობა. ისტორიული ფაქტებით და პოლიტიკურ ეკონომიური ფაქტორებით დაამტკიცოს, რომ კავკასიის ერთა სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვენ განმათავისუფლებელი ბრძოლის საერთო ძალებით წარმოებას. საჭიროა იმ აზრის პროპაგანდა და განმტკიცება, რომ კავკასიელ ერების დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივი არსებობა შესაძლებელია მხოლოდ გართიანებული კავკასიის ფარგლებში.**

**9. გაზეთი მთელი თავისი შესაძლებლობით ეცდება ხელი შეუწყოს ქართული ემიგრაციის გაერთებას და ერთი კომპეტენტური ხელმძღვანელობის შექმნას. ამ მოსაზრებით მის ფურცლებზე არ დაიბეჭდება ისეთი შინაარსის წერილები, რომელიც ხელს შეუშლის წინამდებარე აზრის განხორციელებას.**

**10. „ქართული აზრი“ ზე პარტიული, ეროვნული პოლიტიკის ორგანოა და მისი ფურცლებით სარგებლობა შეუძლიან ყოველ ქართველს, ვისაც საქართველოს დამოუკიდებლობა სწამს და მას პრაქტიკულად იცავს.**

---

*EDITORIAL BOARD: Dr. G. Gabliani, G. Lolua, G. Zaldastani, W. Ssangulia. EDITOR IN CHIEF: D. Sindikeli, PUBLISHER: Georgian National Alliance, 40 E. 65 St., N. Y. C.*